



# PRESS RELEASE

**დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის**  
**18 სექტემბერი, 2015**

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ:  
მაკა ნოსელიძეს – USAID/REAP საზოგადოებასთან  
ურთიერთობის სპეციალისტი  
ტელ: 591192919; ელ.ფოსტა: [mnoselidze@georgiareap.org](mailto:mnoselidze@georgiareap.org)

## ოფიციალური გახსნის ცერემონიალი შპს „ალვა“ ფერმერთა მომსახურების/მექანიზაციის სერვის ცენტრი

ამა წლის 15 ოქტომბერს, 11:00 საათზე, საჩხერეში, იმერეთის რეგიონში USAID/REAP-ს მიერ და დაფინანსებული ახალი ფერმერთა მომსახურების/მექანიზაციის სერვის ცენტრი გაიხსნა. გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ USAID-ის და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები.

ლენტის გაჭრის ცერემონიალის შემდეგ ცენტრის მფლობელმა იოსებ გოგიტიძემ სტუმრებს დაათვალიერებინა ფერმერთა მომსახურების ცენტრის შენობა და მექანიზაციის ეზო.

ფერმერთა მომსახურების/მექანიზაციის სერვის ცენტრების მიზანია მოემსახუროს ადგილობრივ ფერმერებს და ხელი შეუწყოს მათ მიერ მოყვანილი პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

USAID/REAP-ს მიერ გაწეული ინვესტიციით მოხდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის და მისაბმელების შეძენა.

შპს ალვას თანამონაწილეობით დაიფარა შენობის მშენებლობის ძირადი ხარჯები, შეძენილ იქნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკა და მისაბმელები, მცენარეთა დაცვის და ვეტერინარული საშუალებები. ცენტრი მოემსახურება რეგიონში მცხოვრებ 7 000 ფერმერს, ასევე 4 000 ფერმერს ჩაუტარდება ტრენინგი, რაც მათ დაეხმარებათ ცოდნის ამაღლებაში.

###

**USAID საქართველოში:** ბოლო 22 წლის განმავლობაში ამერიკელმა ხალხმა USAID-ის მეშვეობით 1.5 მილიარდ დოლარზე მეტი დახმარება გაუწია საქართველოს. USAID-ს მიერ განხორციელებული პროექტები მიზნად ისახავს, დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალ დემოკრატიაზე გადასვლის პერიოდში. მათი ინიციატივის შემწეობით ჩქარდება ეკონომიკის ზრდა, ვითარდება დემოკრატიული ინსტიტუტები და უმჯობესდება ჯანდაცვისა და განათლების სფეროები. USAID 100-ზე მეტ ქვეყანას უწევს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ საიტს - <http://georgia.usaid.gov>